სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის
გენდერული თანასწორობის გეგმა (GEP)

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის (შემდგომში - ლაბორატორია) გენდერული თანასწორობის სტრატეგია (შემდგომში - სტრატეგია) ადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, ითვალისწინებს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და საქართველოს მთავრობის პოლიტიკას გენდერული თანასწორობის სფეროში. ლაბორატორია ახორციელებს ძალისხმევას ლაბორატორიის მთელს ქსელში (თბილისსა და რეგიონებში) გენდერული თანასწორობის პრინციპების დასამკვიდრებლად და უზრუნველყოფს ქალისა და კაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის მიზნით შესაბამისი პოლიტიკის გატარებას.

2. სტრატეგია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციას, ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონებს, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

სტრატეგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა)გენდერი – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე;

ბ) გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;

გ) გენდერული მეინსტრიმინგი - ქალებისა და მამაკაცებისთვის იმ შედეგების შეფასების პროცესი, რომლებიც ყველა სფეროსა და ყველა დონეზე მოჰყვება ნებისმიერ დაგეგმილ ქმედებას, მათ შორის, კანონმდებლობას, პოლიტიკურ მიმართულებებსა თუ პროგრამებს;

დ) თანასწორი შესაძლებლობები – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა;

ე) სექსუალური შევიწროება – პირის მიმართ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

მუხლი 3. სტრატეგიის მიზანი

სტრატეგიის მიზანია ლაბორატრიის ქსელში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა. კერძოდ, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნას, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციასა და აღმოფხვრას, გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლას.

მუხლი 4. სტრატეგიის ძირითადი პრინციპები

1. სტრატეგიის ძირითადი პრინციპებია:

ა) გენდერული თანასწორობის გაძლიერება და დაცვა;

ბ) დისკრიმინაციის, მათ შორის სექსუალური შევიწროების, პრევენცია და აღმოფხვრა.

2. გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და დაცვის პრინციპი გულისხმობს გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინებას ლაბორატორიის სტრატეგიის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში.
3. ლაბორატორიაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი ან ირიბი ფორმით. დისკრიმინაციის პრევენცია და აღმოფხვრა მიღწევადია ლაბორატორიაში ქალებისა და კაცებისთვის თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის გზით, რომელიც გამოხატულია თანასწორი შესაძლებლობების შექმნით და თანასწორი უფლებების
რეალური გამოყენების საშუალებით.

მუხლი5.გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ლაბორატორიაში განსახორციელებლი ქმედებები

1.ლაბორატორიის სტრატეგიული მიზნებია:
ა)თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებისა და უნარების განვითარების/გაძლიერების მხარდაჭერა ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე;
ბ)გენდერული თანასწორობის საკითხებზე ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმის დანერგვა.
2. ლაბორატორიის სტრატეგიული ამოცანებია:
ა)ლაბორატორიის ქსელში სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციის სხვა შესაძლო ფორმების გამოვლენის ხელშეწყობა და შესაბამისი რეაგირების მოხდენა;
ბ) პრევენციული ღონისძიებების გატარება.

მუხლი 6. ლაბორატორიაში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი და გენდერული
თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი
1.სტრატეგიული მიზნების/ამოცანების ეფექტურად განხორციელებისა და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის (შემდგომში- გეგმა) შემუშავების მიზნით, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში უნდა განისაზღვროს:
ა) ლაბორატორიაში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
ბ)სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან შემდგარი გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი (შემდგომში - მონიტორინგის ჯგუფი), ლაბორატორიაში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის ხელმძღვანელობით.

მუხლი 7. სტრატეგიის, გეგმის განხორციელება და მონიტორინგი
1. სტრატეგიისა და გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობასა და შეფასებას ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფი, ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.
2. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის/შეფასების შედეგად შესაძლებელია რეგულარულად განხორციელდეს დასახულ ღონისძიებათა ქმედითობის შეფასება და სტრატეგიის, გეგმის გადახედვა-განახლება ახალი გარემოებების გათვალისწინებით.